წელიწადი 1-ლი  გაზ. ფასი 3 შაური.  ტელეფონი № 76.  შაბათი ოქტომბრის 14 (27) 1917

# ჩვენი ქვეყანა

**გაზეთის ფასი:**
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
**განცხადების ფასი:**
პირველ გვერდზე პეტიტით დირს . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად.
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 149  ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი  № 149


## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

## ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

## ქუთაისის სააღგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა

საყურადღებოდ აცხადებს, რომ საქმის წარმოება როგორც ცენტრალურ ისე ფილიალურ განყოფილებაში ქართულათ წარმოებს, ამიტომ ყოველივე წერილობითი განცხადება, თხოვნა და სხვა, რომელიც კერძო პირთ შემოაქვთ, ქართულათ უნდა იწერებოდეს, გამონაკლისი ხდება მხოლოთ რუსთათვის, რომელთაც ქართულათ წერა არ იციან. ამგვარათვე ყველა დაწესებულებას გამგეობასთან მიწერ-მოწერა ქართულათ უნდა ექნეს.

## ძმ. უორუოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

ესარის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე.** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

**ექიმი**

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 8—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## დავკარგე

5 მაისს 1917 წ. მე-60 მუხ. ძალ. მოცემული სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების მოწმობა. მპოვნელს ვსთხოვ მოიტანოს გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში ან წყალგაღმა უბ. კომისარიატში.

**დავით ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძე.**


## დრო არის!

სახელ განთქმულმა სოციალისტმა ჟან ჟორესმა სთქვა:

„რაც უნდა დიდი შედეგები ჰქონდეს რევოლუციას, იგი მაინც ბარბაროსული პროგრესიაო“.

ჩვენისთანა უბრალო მომაკვდავს რომ ეთქვა ეს სიტყვები, აქამდე ცხრაჯერ ვიქნებოდით გამოცხადებულნი ხალხის მტრათა და კონტრრევოლუციონერად, მაგრამ დიდებულ მებრძოლის ძლევამოსილ სიტყვებს მაინც ანგარიში უნდა გავუწიოთ.

რუსეთის დღევანდელი დიდი რევოლუცია სწორედ რომ ბარბაროსობად გადაიქცა, გაჰქრენ დიდი ლოზუნგები, ნგრევა-აწიოკებამ დამარხა, შეაკრთო დიდი იმედები, **ხვალინდელი** დღის მოლოდინი შიშითა და ძრწოლით ავსებს თითოეულ ჩვენთაგანს, იმიტომ კი არა, რომ სიკვდილისა გვეშინოდეს!

ცას არავინ შეჰბერებია, დღეს თუ არა ხვალე მაინც მოვა შავი სიკვდილი და თითოეულ ჩვენთაგანს გაიტაცებს იმ ქვეყანაში, სადაც არ არის „არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ ცხოვრება იგი დაუსრულებელიო,“ როგორც უთქვამს ოცნებით გატაცებულსა და იმ ქვეყნიურ ცხოვრებაზე **გულ-გატეხილ** ადამიანს, მაგრამ სიკვდილიც არის და სიკვდილიც!

სიკვდილი იმ რწმენით, რომ შენს შემდეგ შენი ზედამრჩო უეჭველად ბედნიერი, თავისუფალი, ხელშეუხლებელი, თავის თავის ბატონი და პატრონი იქნება; სიკვდილი იმ იმედით, რომ შენი დანაკლისი დღე სხვას შენს, მახლობელს, შენს თვისტომს, შენს მოყვასს შეემატება; სიკვდილი იმ გულისთქმით, რომ შენის სიკვდილით დაინგრევა ტანჯვის გოლგოთა შენის სამშობლოისა, ჩამოეხსნება ხუნდები მონობისა და თანასწორი თანასწორთა შორის, შემოსძახებს სიმღერას ძმობისას და თავისუფლებისას—დიაღ, ასეთი **სიკვდილი** კი არ არის, არამედ **გარდაცვალებაა**, ერთგვარი ნეტარებაა, რომელიც ამშვენებს დუხჭირ ცხოვრებას საიქიოს და გზას უნათებს საიქიოს.

მაგრამ სიკვდილი რომელიმე ხულიგანის ხელით, სიკვდილი იმ დროს, როცა ტრფობის მთაზე შემომდგარი გულის ძგერით მოელი სამშობლოს თავისუფლების ამომავალ მზეს; სიკვდილი, გაველურებულ „პოგრომჩიკის“ კეტით, სიკვდილი იმ დროს, როცა სდგეხარ ლოცვად ტანჯული ხალხის საკურთხეველზე და ცის მანანასავით მოელი ერის გამოფხიზლებას; სიკვდილი რომელიმე გალეშილი, გამხეცებულ ორფეხა ცხოველის ფრჩხილებით, ეს სიკვდილი კი არა, ეს დაცინვაა ბუნებისა, ეს გმობაა შემოქმედისა, ეს გათახსირებაა კაცად-კაცობისა და ადამიანობისა!

ასეთს სიკვდილს არ ვუსურვებ ჩემის სამშობლოს მტრებსაც კი!...

მაგრამ...

ვაი, რომ ჩვენ,—ქართველობა, და ჩვენი ქვეყანა—საქართველო—დიდ განსაცდელშია და ჩვენ კი ყურს არ ვიბერტყავთ თავის დაცვისათვის... მივიხედმოვიხედოთ, რა ხდება ჩვენს გარშემო, გავითვალისწინოთ, რა ძალა გვაქვს გადარჩენისათვის, ჩავუკვირდეთ რა მოგველის, თუ არ დავივიწყეთ ის უმსგავსო ურთიერთობა, რომელიც დღევანდლამდე იყო ჩვენში არსებულ ჯგუფთა და პარტიებს შორის

დავრწმუნდეთ რომ ურთი-ერთმანეთოდ დიდი მარცხი მოგველის და ერთხმად დავიძახოთ:

—დრო არის უკუ ვაგდოთ ჯგუფობანა და შეერთებულის ძალით შევქმნათ: ქართული ჯარი, ქართული ერთობა, ქართული ცხოვრება, ქართული გმირობა, ქართული ვაჟკაცობა, ქართული თავგანწირვა ჩვენის ქვეყნის უკეთესის მომავალისათვის!

დრო არის მივეყრდნოთ ჩვენი ბებერი დედის-საქართველოს მკერდს, დავივიწყოთ პირადი ქიშპობა და შევუდგეთ საერთო სახლის,—სტიქიურ მოვლენათაგან დამცველ სახლის—აგებას, ხოლო, როცა ავაგებთ ამ სახლს, როცა თავს ვიხსნით განადგურებისაგან, თუ არ დაგვიშლია მაშინ ვიდაოთ, ვინ რა შრომა გასწია ამ შენობის აგებისათვის.

დღეს კი ხელში არ გვიჭირავს რა, დღეს კი მსხვერპლი ვხდებით იმ ბარბაროსული ტალღისა, რომელსაც რუსეთის დიდი რევოლუცია ჰქვია!...

რევოლუცია იგი კი ჩვენ არც დაგვინდობს და არც შეგვიცოდებს!...

რუსეთიდან უკვე ჩამოვიდენ ქართველი ბელადნი ამ რევოლუციისა. ძლივს ვეღარ გაუძლეს ღელვას ბოროტებისას!

დრო არის ეს უებრო გმირები შესდგენ იალბუზის მთაზე, მოუწოდონ ქართველ მშრომელ ხალხს შეერთებისაკენ—გონს მოიყვანონ ცდომილნი, გაამხნევონ უმეცარნი, დაჰგმონ უკმეხნი, წინ გაუძღვენ ვაჟკაცებს და საქართველოს სახელით შეაჩერონ ის საუბედურო ანარქია, რომელიც წარღვნას უქადის მათ დიად აზრებს, დიად საქმეს.

დროა ვიხსნათ სამშობლო და დახსნილი იქმნება დიადი იდეა სხვათა დახმარებისაც!

**ია ეკალაძე.**

## დამფუძნებელი კრება და ჩვენი ხალხი.

**წერილი პირველი**

ამ წერილში ჩვენ შევეხებით დამფუძნებელ კრების ტეხნიკურ მხარეს და განვმარტავთ ზოგიერთ კითხვას, რომელიც დამფუძნებელ კრებას შეეხება.

დამფუძნებელი კრება არის საგანგებო განსაკუთრებული ყრილობა, რომელშიც მონაწილეობს სახელმწიფოს მთელი ხალხის წარმომადგენლობა სახელმწიფოს კანონმდებლობის გადასასინჯათ და ძირითად კანონების დასაწესებლათ. იგი იმუშავებს სახელმწიფოს გამგებლობის ფორმას, ადგენს კონსტიტუციის სახეს ან სცვლის უკვე არსებულს. დამფუძნებელი კრება სწყვეტს აგრეთვე მთელ რიგს კითხვებისას, რომელთაც ცხოვრებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს მაგალითად, როგორიც არის მიწის კითხვა, მუშათა კითხვა და სხვა. რუსეთის ცხოვრებაში დამფუძნებელი კრების მოწვევა პირველი მოვლენაა. დამფუძნებელ კრების არჩევნების პირველ დღეთ ოფიციალათ გამოცხადებულია 1917 წლის ნოემბრის 12. კანონის მიხედვით საარჩევნო სია წარდგენილი უნდა იქმნას 40 დღის წინ არჩევნებამდის. სიებს ადგენენ საარჩევნო ნაწილები: ქალაქში ქალაქის თვითმმართველობა სოფელში სოფლის სამმართველო.

ყოველ ამომრჩეველს უფლება აქვს გასინჯოს სია და ნახოს, ხომ არ არის იგი გამოშვებული საარჩევნო სიიდან. თუ გამოშვებულია, შეუძლია ამის შესახებ განცხადება შეიტანოს. ის პირები, რომლებიც გზაში იყვენ და საარჩევნო სიაში შეუტანელნი დარჩენ, ადგილზე მოსვლისას ჩაეწერებიან საარჩევნო სიაში. დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობას ღებულობს ყველა ის (ქალი და კაცი), ვისაც კი 20 წელი შესრულებია და ღირსებ აყრილი არ არის. ჯარი დრ. მმართველობის გადაწყვეტილებით ცალკე აძლევს ხმას.

არჩევნები ხდება პირდაპირის საყოველთაო და ფარულის ხმის მიცემით. რას ნიშნავს პირდაპირი ხმის მიცემა?. პირდაპირი ხმის მიცემა ნიშნავს, რომ ხალხი პირდაპირ ირჩევს თავის წარმომადგენელს და არა ამორჩეულის საშუალებით, როგორც ეს ძველი სათათბიროს არჩევნების დროს ხდებოდა. საყოველთაო ხმის მიცემა ჰგულისხმობს, რომ არჩევნებში მონაწილეობს ყველა, არ არის განსხვავება ქონებისა თუ სწავლის მიხედვით. ფარული ხმის მიცემა ნიშნავს: ამომრჩეველი ისეთი წესით აძლევს ხმას, რომ ვერავინ გაიგებს, თუ ვის მისცა ხმა ამა თუ იმ ამომრჩეველმა.

რუსეთი დაყოფილია რამდენიმე საარჩევნო ოლქად.

კავკასია ერთ საარჩევნო ოლქათ არის გამოცხადებული, რომელშიც შედის **საქართველოც**. ჩვენში არჩევნების ხელმძღვანელობა ევალება: 1. ამიერ-კავკასიის ცენტრალ საარჩევნო კომისიას, 2. საგუბერნიო საარჩევნო კომისიას, 3. სამაზრო საარჩევნო კომისიას, 3. სარაიონო საარჩევნო კომისიას და 4. სასოფლო საარჩევნო კომისიას.

რუსეთში არჩევნების მოხდენას კანონში აღნიშნულ წესით დიდი დაბრკოლება ელობება წინ, რადგან მცხოვრებთა დიდმა ნაწილმა წერა კითხვა არ იცის. საქართველოში უფრო სანუგეშო მდგომარეობაში ვართ, წერა კითხვა აქ გაცილებით მეტმა იცის, მაგრამ მაინც შეიძლება ჩვენი ხალხის საგრძნობმა ნაწილმა არჩევნებში თავისი ნამდვილი ნების ყოფა ვერ გამოსთქვას. მაგალითად ავიღოთ ლეჩხუმი და სვანეთი. ჩვენში ბევრი გამორჩება საარჩევნო სიიდან, რადგან წინათ რომ აღწერა მოხდა, მასში ყველა მცხოვრები არ იყო შეტანილი და უკანასკნელ დროს მომხდარი შესწორებაც არ გვაძლევს დიდ იმედს იმ მხრით, რომ სია შევსებული იქნება, რადგან შემასწორებელ კომისიაში მეტად უმნიშვნელო რიცხვი გამოცხადდა. ჩვენი ინტერესი მოითხოვს რომ არჩევნებში მთელმა ხალხმა მიიღოს მონაწილეობა.

როგორც ვსთქვით, დამფუძნებელი კრებისთვის კავკასია წარმოდგენილია ერთ საარჩევნო ოლქათ. არჩევნების მოხდენას დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს ცხოვრებისთვის. შეიძლება რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევა ვერც კი მოხერხდეს, მიუხედავათ ამისა საქართველოსათვის მაინც მიუცილებელია ეროვნული მთლიანი გამოსვლა და თავის სურვილის გამომჟღავნება. კარს მომდგარი არჩევნების შედეგი დაგვანახებს, თუ როგორი პოლიტიკური განღყობილება, მსოფლ მხედველობა და ეროვნული შეგნება ტრიალებს ჩვენს ხალხში. მეორე წერილში ჩვენ შევეხებით ქართველ ერის პრობლებას დამფუძნებელ კრებისთვის და ქართულ პოლიტიკურ პარტიებს.

**სანდ.**

## რუსული პრესა.

გაზ. „ზემლია“ სოფლის მცხოვრებთა შესახებ სწერს: „თქვენ ესაუბრებით, სოფლის მიწის მუშას გლეხს, უხსნით რუსეთის საშინელ განსაცდელს,ატყობინებთ რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია სახელმწიფოს მთელი მაჯის ცემის შეჩერება. ეუბნებით რკინის გზის მიმოსვლის შეწყვეტაზე, სხვადასხვა ფაბრიკების უმოქმედობაზე, დამშევაზე და იცით მერე ყველა ამის საპასუხოთ რას მოისმენთ. „არ გვეშინია, უბედურება მოელით, მხოლოთ ქალაქის მცხოვრებთ, თორემ სოფლელებს, არ გვეშინია ჩავჯდებით ჩვენს სოფლებში და ვიქნებით. რა გულ უბრყვილონი არიან!.. გაზეთი აღნიშნავს იმას, თუ რა მოელის სოფლელებს.

ამ ჟამათ ქალაქიდან მიდის სოფელში რკინეულობა, სამუშაო იარაღი კავი სახნისი, წამალი ნავთი. ექიმი, ტანთსაცმელი, მაშინ კი, როდესაც ქალაქი განადგურებას მიეცემა, სოფელი შავ სიბნელეში ჩავარდება. აღარც წამალი, აღარც ექიმი, აღარც სხვადასხვა მანქანები და აღარც განათლება სოფელს არ მოუვა. სოფელი და ქალაქი განუყრელი ერთმანეთის მამოძრავებელი ნაწილებია. გლეხი კიდევ გეუბნებათ, მე ახლავე დავიტაცებ მემამულეთა ქონებას და იგი დიდ ხანს მეყოფაო. ხედავთ, როგორ ჩქარა შეირ-

ყენა გლეხის კეთილ შობილური ფსიხიკა მტაცებლობით აპირებს ცხოვრებას, სადაროის წმინდა შრომის წყურვილი.

გაზეთი დაასკვნის, რომ ამ ხანათ რუსეთის გლეხში არავითარი შეგნება არ არის არც სამშობლოს საკეთილდღეოთ ზრუნვისა და არც რევოლუციისთვის თავდადებისა, რაც პირდაპირი ნაყოფია სოციალისტურ ძადაგისი, რომელმაც გაამხეცა რუსეთის ხალხი".

**კორნილოვის საქმის გარშემო.**

გაზ. „ზემლიაში" მოთავსებულია ამონაწერები გენ. კორნილოვის საქმის შესახებ.

„უპირველეს ყოვლისა გენ. კორნილოვს მთავრობასთან უთანხმოება მოუვიდა იმიტომ, რომ, როდესაც კორნილოვმა აუწყა მთავრობას ლაშქრის საშინელი ყოფა ანარქიის გემეფება, ეს ამბავი ზოგიერთ სოციალისტ მინისტრს სასაცილოთაც არ ეყოთ, მოსკოვის თათბირზე გენ. კორნილოვი უკვე აღნიშნავდა, რომ თუ რუსეთის ლაშქარმა ისეთი დაშლა და უმოქმედობა განაგრძო, მაშინ კატასტროფა მოგველის იქსკიულთან და რიგასთანო. საჭიროა რომელიმე ადგილას აქტიურ თავდაცვის დაწყება", კერენსკიმ ლაპარაკი შეაწყვეტინა კორნილოვს და ჩუმათ უთხრა: „აქ მაგ საიდუმლოზე ნურას იტყვიო. კორნილოვს გაუკვირდა და სთქვა, რომ ასეთი წინადადება მიიღო მან აგრეთვე სამხედრო მინისტრ სავინკოვისგან. დიდება შენთვის ღმერთო, რუსეთის სახელმწიფურ თათბირზე უმაღლეს მთავარ სარდალს მინისტრებისთვის არ შეუძლია ბრძოლის ველის გარემოების ახსნა!.. სავინკოვმა კორნილოვს აცნობა, რომ მინისტრი ჩერნოვი გამცემათ არის ალსარებული იგი მტერს გაუგებინებს ჩვენს გეგმას და ამიტომ მასთან ვერ ვლაპარაკობთო. პირველ ხანებში კერენსკი ყველაფერში ეთანხმებოდა კორნილოვს, მაგრამ მის წინადადებას არაფერს არ ანხორციელებდა. კორნილოვმა უნდობლათ დაუწყო კერენსკის ცქერა, მას სუსტ ხასიათის სახელმწიფო საქმეების უკოდინარს უწოდებდა. კორნილოვმა დაბეჯითებით მოითხოვა მმართველობაში უფრო ძლიერ შემადგენლობის შეყვანა, სადაც თანამშრომელი იქნებოდა აგრეთვე კერენსკი კორნილოვი ასევე საჭიროთ სთვლიდა ბრძოლის ველზე მოქმედების დაწყებას. აგვისტოს 24-ს სამხედრო მინისტრი სავინკოვი მოგილევში იყო კორნილოვთან. სავინკოვმა კორნილოვს შეატყობინა, რომ მისი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნება, მაგრამ საქმე ისაა რომ 28, 29 აგვისტოსთვის მეუმრავლესენი გამოსვლას აპირებენ, რომლებიც დიდათ ისარგებლებენ თქვენი მოთხოვნილებით, ამისათვის გთხოვთ რომ გასცეთ ბრძანება აგვისტოს ბოლოსთვის მესამე ცხენოსანთა კორპუსი პეტრეს ქალაქს გამოიგზავნოს, რომელმაც მეამბოხეთ უსათუოდ უნდა ესროლოს, თუ მეუმრავლესეთა აჯანყებაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოები, მათ წინააღმდეგაც დაგვჭირდება სასტიკი მოქმედება.

მესამე კორპუსი იქნება დრ. მმართველობის განკარგულებაში. კორნილოვმა, მართლაც, გააგზავნა მესამე კორპუსი პეტრეს ქალაქისკენ (მეუმრავლესეთა წინააღმდეგ და დრ. მმართველობის დასაცავათ.) და სამხედრო მინისტრს აგვისტოს 27-ს დეპეშა გაუგზავნა. დეპეშის 6394-" სამხედრო სამინისტროს გამგეს. მესამე კორპუსი დაბანაკდება პეტრეს ქალაქის მახლობელ ადგილებში, გთხოვ პეტრეს ქალაქში სამხედრო წესები გამოაცხადოთ".

გენ. კორნილოვი.

შემდეგ გენ. კორნილოვმა ლვოვის პირით კერენსკის სთხოვა, რომ ეს უკანასკნელი მასთან მოგილევში მისულიყო. კერენსკიმ აცნობა, რომ იმ დღეს წასვლა არ შეეძლო, ეცდება, რომ მეორე დღეს წასულიყო საკონკოვთან ერთად. კორნილოვმა პირდაპირის მავთულით მეორეთ სთხოვა კერენსკის, რომ მოგილევში მისულიყო. ამაზე კერენსკი უპასუხებს: „რაღაცა გამოსვლის შესახებ დადის ხმა იმის გამო მოვიდე, თუ ყოველ შემთხვევაში." „ყოველ შემთხვევაში" უპასუხა კორნილოვმა, მაშ ნახვამდის, მოვალ მალე გნახავთ-უთხრა კერენსკიმ.

მეორე დღეს გენერალი კორნილოვი მოღალატეთ გამოაცხადეს.

თვითონ კორნილოვი ამბობს. „აგვისტოს 28-ს დრ. მმართველობამ მე გამომაცხადა სამშობლოს მოღალატეთ და მომთხოვა, რომ შემეჩერებინა მესამე ცხენოსანთა კორპუსის წინსვლა. ამ დროს, მე დავრწმუნდი, რომ მმართველობა სრულიად დაექვემდებარა საბჭოებს, რომლის წინააღმდეგაც მე ჯარი დამაძრევინა, მერე მოველაპარაკე ჩრდილოეთის, სამხრეთის, ჩრდილო დასავლეთის და რუმინეთის ფრონტების სარდლებს და მათი დახმარებით გადავსწყვიტე გამომჟღავნებინა დრ. მმართველობის წინააღმდეგ ამეძულებია ის: 1. გამორიცხა მთავრობის შემადგენლობიდან ის მინისტრები, რომელნიც ჩემი ცნობების მიხედვით სამშობლოს მტრები და მოღალატენი იყვნენ. 2. მოხდეს მთავრობაში ისეთი რეორგანიზაცია, რომ ქვეყნისთვის უზრუნველ ყოფილი ყოფილიყო ძლიერი მტკიცე გამგებლობა. ჯარი, რომელიც პეტრეს ქალაქის წინააღმდეგ წავიყვანე, ფრონტზე კი არ იყო მოხსნილი, არამედ ზურგიდან წამოვიყვანე„.

გაზ. "ზემლია" დაასკვნის, რომ ფილონენკო ამვისტოს 27 მდის კორნილოვთან ერთსულოვნად მუშაობდა, კერენსკის შესახებ ამბობდა, რომ იგი უკვე დაილალა, არავითარი ენერგია მას აღარ შერჩა და საჭირო არ არის მისი მთავრობაში ყოფნაო. კორნილოვს კერენსკის დეპეში მოუვიდა, რომ იგი კორნილოვი სამხედრო უმაღლეს მთავარ სარდლობიდან გადაყენებული იყო, მაშინ ფილონენკოს აზრი შეიცვალა და მოიწადინა პეტრეს ქალაქში წასვლა. კორნილოვმა არ გაუშვა აგვისტოსის 28 მდის.

გაზეთ „დენი" რესპუბლიკის საბჭოს შესახებ სწერს, თუ როგორ დროს უხდება საბჭოს მუშაობა და რა მიზნებს უნდა ემსახურებოდეს: „დროებითი საბჭო იწყობს მუშაობას, როცა რევოლუცია უკიდურესად სახიფათო მდგომარეობაში იმყოფება. იმ დროს, როდესაც პეტროგრადზე მტრისგან მუქარა მარტო სიტყვები და ხმები კი აღარ არის, არამედ სინამდვილეს ემსგავსება, შემაშფოთებელ დროს, როცა რუსეთი მორწყულა ანარქიის ტალღებით-ეკონომიური კატასტროფა მოახლოვებულია-აგრარული უწესოება და ქალაქების რბევა რუსეთს შიმშილს ემუქრებიან, როცა დგება უმძიმესი, უბნელესი და შემზარავი საათი რევოლუციის განცდისა, ამ დროს იწყობს მუშაობას ხალხური დაწესებულება რომლის დანიშნულებაც თავის იდეის მიხედვით არის დაეხმაროს რევოლუციონურ მთავრობას. რუსეთის რესპუბლიკის საბჭო შექმნილია იმიტომ რომ მოხსნას რევოლუციურ მთავრობას შეუსრულებელი ტვირთი უპასუხისმგებლობისა, და მისცეს საშუალება მთელ ხალხს გაინაწილოს უფლება მქონეებთან პასუხის მგებლობა სამშობლოს ბედილბალში."

## რუსეთის რესპუბლიკის საბჭო

**დეპეშები**

პ. დ. ს.

**ვერხოვსკის სიტყვა**

მინისტრი მოკლედ შეეხო ფლოტების მდგომარეობას და ძალას. შავ ზღვაზე ჩვენი ძალები მტრისას აღემატება და საგულისხმო ძალას წარმოადგენს, თუმც მასაც შეეხო დღევანდელი პირობები. საყურადღებოა სატრანსპორტო ფლოტილიის მოქმედება, რომელიც სურსათ სანოვაგეს და ქვა-ნახშირს ეზიდება ჯარისთვის. ამ საქმეში დეფექტები არის. ეს უნდა გასწორდეს. ამ მხრივ აუცილებლად საჭიროა საზღვაო საალმშენებლო ქარხნების მდგომარეობის გაუმჯობესება. თეთრი ზღვის ფლოტი კარგად ასრულებს თავის მოვალეობას—საზღვარგარეთიდან საქონლის შემოზიდვას მურმანისა და არხანგელსკის ნავთსადგურში. მაგრამ მურმანის რკინის გზა იმის მეოთხედის გადმოზიდვასაც ვერ ასწრებს, რის გადმოზიდვაც ვარაუდით უნდა შესძლებიყო ამ რკინის გზას. არხანგელსკის რკინის გზაზე კი თანდათან გადმოზიდვა უფრო სუსტდება და თეთრი ზღვის ნავთსადგურებში აუარებელი გადმოუზიდავი საქონელია დაგროვილი. მინისტრი ამბობს, რომ თავდაცვის კომისიაში ის მოხსენებას წაიკითხავს რკინის გზის აღრევის შესახებ. ვლადივოსტოკის ფლოტი მხოლოდ იმისთვისაა გამოსადეგი, რომ ოფიცრების მოსამზადებლად მასზე ვარჯიშობა სწარმოებდეს და მეორე მთავარი დანიშნულება საქონლის გადმოზიდვაა. ამნაირად მთელი ინტერესი ბალტიის ფლოტზეა მიყრდნობილი რომელიც სატახტო ქალაქის გზებს უძლიერეს მტრისაგან ომის დაწყებიდან იცავს, რასაც საოსებით აღწევდა. ბალტიის ზღვაზე შეიქმნა ბევრი ციხე-სიმაგრეები. გემებით ზღვაში გადიოდნენ სავარჯიშოდ იაპონიის ომის სირცხვილის მნახველი პირები. ბალტიის ფლოტს აქამდე არავითარი დაბრკოლება არ გადაჰლობებია წინ.

**კრიზისები.**

ეხლავე თუ ფლოტის საჭიროებისათვის მომუშავე ქარხნები ინტენსიურად არ ამოქმედდა, ბილტიის ფლოტი გასაჭირში ჩავარდება, მინისტრს საჭიროდ მიაჩნია აშენდეს ახალი ტიპის ნაღმოსნები და სხვა გემები. ბალტიის ზღვაზე გერმანელთა დიდი ძალების გამოჩენამ იქნება შეაგნებინოს მუშებს, რომლებზედაც დამოკიდებულია ფლოტის სიძლიერის აწევა, რომ დაგვიანება სახიფათოა. მეორე დიდი ნაკლი სათბობ მასალის სიმცირეა. დონეცის სამრეწველო რაიონში აუცილებელი გახდება რამდენიმე ქარხნის დახურვა. თუ მუშებმა ვერ შეიგნეს, რომ ფლოტის საჭიროებისთვის დღე და ღამ განუწყვეტლივ უნდა სწარმოებდეს მუშაობა და, თუ ქარხნებს ქვანახშირი და სხვა მადნები დროით არ მიაწოდეს, გაზაფხულზე არც ერთი ახალი გემი არ გვექნება და დაზიანებულ ძველებსაც ვერ შევაკეთებთ. ფლოტის საომარ ღირსების ასაწევად საჭირთა პირადი შემადგენლობის ერთგული მუშაობა დაფლოტის სიწყნარე. მეზღვაურთა და საზღვაო ოფიცერთა შორის ჩამოვარდნილ განხეთქილებას ტრაღიკული შედეგები მოჰყვა. მეზღვაურთა შტატის დაშლა და ახალის შედგენა წარმოუდგენელია, ვინაიდგან დიდი ჯავშნოსნის მექანიზმს წლობით სწავლობენ. ამიტომ რაც გვაქვს, იმასაც თვალის ჩინსავით უნდა გავუფრთხილდეთ შემდეგ მინისტრი იმაზე შეჩერდა, თუ რა განწყობილება იყო მეზღვაურთა და საზღვაო ოფიცრებს შორის რევოლუციამდე. ამ მხრივ ბალტიის ფლოტი 2-ად უნდა გავყოთ: რეველის ჯგუფი და ჰელსინგფორსის ჯგუფი. რეველში კომიტეტები უფროსებთან თანხმობით მუშაობდენ, რეველის მეზღვაურები არამც თუ არ იწვევდნენ ექსცესებს, პირიქით, ზომებს იღებდენ, რომ იგი არ ყოფილიყო.

**ჰელსინგფორსი.**

ჰელსინგფორსში საქმე სხვანაირად დატრიალდა. ჰელსინგფორსში მომხდარ ამბავს მთავარ საფუძვლად დაედო ძველი რეჟიმის დროს სამხედრო სამსახურის გავლილ პირების ჩვეულება: ჯარისკაცთა მასისგან სინამდვილის დამალვა. ამიტომ მეზღვაურთა და უფროსების შუა სისხლის ღვრა მოხდა. პირველად ოფიცერთა და მეზღვაურებს ერთიერთმანეთის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონიათ. ჰელსინგფორსიდან ჩამოსულები და იქაური კომისრები ჰმოწმობენ, რომ აფიცრებს არავითარი კონტრ რევოლუციონური გამოსვლა არ მოუწყვიათ. მეზღვაურთა და აფიცერთა შუა გათხრილ ორმოს ფსკერზე დაღვრილი სისხლია. ამ ხვრელის ამოვსება ჩვეულებრივი საშვალებით არ შეიძლება. მე დაჟინებით ვიძახი, რომ ფლოტს უნდა მოუწოდოთ დისციპლინისაკენ, მაგრამ არა დამუქრებით და ძალდატანებით. მართალია პასუხისმგებლობის გრძნობა მეზღვაურებში შესუსტდა, მაგრამ ეს გრძნობა მაინც არსებობს მათში და თუ ურთიერთ შორის დამოკიდებულება შეიცვლება, ეს გრძნობა. კვლავ გაძლიერდება მეზღვაურნი მხოლოდ მაშინ იბრძვიან თავ-განწირვით, როდესაც თავიანთ ხელმძღვანელებს ნდობით ეპყრობიან. ჩვეულებრივ ურთიერთობის დამყარება ერთის გზით შეიძლება: მეზღვაურთა ორგანიზაციებთან თანხმობით ფლოტში შეგნება უნდა შევიტანოთ იმისა, რასაც უკანასკნელი საზღვაო ბრძოლა გვაფიქრებინებს: ეს არის უდისციპლინობა. ფლოტის შეგნებული წარმომადგენლები თვითვე ჰკიცხავენ დაუნდობლად ისეთ პირებს, როგორც ცეცხლის ბატარეების ზოგი მსახურნი, რომელთაც საშვილიშვილოდ შეირცხვინეს თავი. მეზღვაურთა შორის არსებობს გრძნობა სამშობლოს დამცველ მოქალაქეთა.

**რეველის ფლოტის კომიტეტის რეზოლუცია**

მინისტრი აქვეყნებს რეველის საფლოტო კომიტეტის რეზოლუციას, რომელშიც ნათქვამია, რომ ბალტიის უფროის საოპერაციო განკარგულებებში ყველა ვალდებულია შეასრულოს განუხილავად და კომიტეტებმა ზომები უნდა მიიღონ, რომ ჩქარა ასრულდეს. პირადი შემადგენლობა კეთილსინდისიერად უნდა ეკიდებოდეს თავის მოვალეობის შესრულებას. სანაპირო ნაწილებში მეცადინეობა უნდა გაძლიერდეს და მოისპოს რღვევა და აღვირწახსნილობა. მეზღვაურები მეტს არ უნდა ლაპარაკობდნენ და უნდა ახსოვდეთ რომ მტერი ახლოს არის და, რომ საჭიროა სამსახურის საიდუმლოების დაცვა. მინისტრი ამ რეზოლუციის გამო ამბობს, რომ ბალტიის ზღვაზე უკანასკნელად მომხდარ ბრძოლაში მონაწილეთა შორის დისციპლინა და ურთიერთშორის საკითხი თავისთავად გადასწყდა და ეხლა სხვა გემებზე უნდა გადასწყდეს.

**დისციპლინის საკითხი.**

შემდეგ მინისტრმა სთქვა, რომ წინა დღეს საუბარის დროს მეზღვაურთ უწყა, სდვება ამერიკული არმია, მიქცეული იქნება ყურადღება დისციპლინაზე, და დაუმატა შეგნებული მეომრები თავის ნებით თანხმდებიან ამასაო. სიტყვას თავის ნებით მეზღვაურთა შორის აღელვება გამოუწვევია, რასაკვირველია თავის ნებით უნდა იქნას მიღებული დისციპლინაო. მინისტრმა დასძინა, საჭიროა მასსა დავარწმუნოთ, რომ სამშობლოს დაცვის საჭიროება გვავალებს დისცისლინის შემოღებას, თუ არა და ქვეყანა იღუპებაო. (ტაში). ნამდვილ გმირებს მხოლოდ თავისუფალი დისციპლინა შეჰქმნის. დისციპლინის დამრღვევნი კი მაინც დაისჯებიან. ჯარის მავვარად ფლოტშიაც შემოღებული იქნება სადისციპლინო გასამართლება, მხოლოდ ფლოტის აფიცრებს არ მისცემენ ამ სამართალში, რადგანაც უფროსს უმცროსი არ სჯის. დაბოლოს მინისტრი იმედს გამოსთქვამს, რომ ის შესძლებს პირადი ზედგავლენით მოიპოვოს გამოძახილი მეზღვაურთა წრეებში და მიაღწიოს იმას, რომ მეზღვაურნი შეგნებით ეპყრობოდნენ თავის მოვალეობას. (ტაში).

## რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დეპეშები.

**გაფიცვები.**

**კიევი.** ოქტ. 10. ფარმაცევტები გაიფიცნენ.

**პეტროგრადი.** ოქტ. 10. შრომის სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ ვლადიმირის ასაფეთქებელ მასალის ქარხნებზე ოქტომ. 7-ს გაფიცვა შესწყდა.

**ბოლშევიკები და რესპუბლიკის საბჭო**

**პეტროგრადი.** ოქტ. 10. პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს ღამის სხდომაზე ტროცკიმ განმარტა ის მოტივები, რომელთაც ბოლშევიკებს საბჭოში მონაწილეობაზე უარი ათქმევინეს. დასასრულ ტროცკი მოუწოდებდა ძალები შეემზადეთ მთავრობის ხელში ჩასაგდებადო. ტროცკის წინააღმდეგ ილაპარაკეს მენშევიკმა ლიბერმა, სოციალისტ-რევოლუციონერმა დამბაროვმა და ინტერნაციონალისტმა მარტოვმა მარტოვმა აღნიშნა, რომ მთავრობის საბჭოების ხელში გადასვლა უდროულია. დასასრულ მიიღეს კოლონტაის რეზოლუცია. რეზოლუცია ბოლშევიკურ ხასიათისაა; წინააღმდეგია დროებითი საბჭოსი და დროებითი მთავრობისა, მიესალმება საბჭოდან გასულ ჯგუფს და მოითხოვს მთავრობის დეპუტატთა საბჭოების ხელში გადასვლას. პეტროგრადის დაცვაზე კამათის დროს ბოლშევიკებისა და მენშევიკების შორის ინციდენტებს ჰქონდა ადგილი. დასასრულ მიიღეს რეზოლუცია, რომელიც აღნიშნავს: პეტროგრადის ხსნა შესაძლოა, თუ მთავრობა დეპუტატთა საბჭოების ხელში გადავაო.

**მოსაგერიებელ კომისიის სხდომა**

**პეტროგრადი.** ოქტ. 10. დროებითი საბჭოს მოსაგერიებელ კომისიის დახურულ სხდომაზე გენერალ დუხონინის შემდეგ ილაპარაკა უმაღლეს მთავარსარდლის თანაშემწე (სამოქალაქო ნაწილში) ვირუბოვმა. კომისიის წევრებმა სხვა და სხვა კითხვები წამოაყენეს. უპასუხებდნენ კერენსკი, დუხონინი და ვირუბოვი.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

**დეპეშები.**

**აღმოსავლეთის ფრონტი.**

**პეტროგრადი.** ოქტ. 11. ოფიციალი. ჩრდილოეთის და სამხრეთ დასავლეთის ფრონტები. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**რუმინეთის ფრონტი.**

ოკნინის რაიონში, გროზესჩის სამხრეთით, მტერი მახრჩობელა გაზებს ხმარობს.

**კავკასიის ფრონტი.**

არსებითი არა მომხდარა რა.

**ჰელსინგფორსის დაცვა**

**ჰელსინფორსი.** 10. სვეაბორგის ციხის კომენდანტმა გამოსცა სავალდებულო დადგენილებანი, რომლებიც უნდა შესრულდეს ციხის დაცვისათვის ზომების მისაღებად.

**ბრძოლა ბალტიის ზღვაზე.**

**მთამქმედი ლაშქარი.** ოქტ. 9. ჩრდილოეთის ფრონტის შტაბი იუწყება: ოქტ. 9-ს მტერმა შვიდი როტა გადმოსხა ვერდერზე (ესტლიანდიის ნაპირზე) ჩვენებს ჯარი მივაშველეთ. მტრის ჯარის გადმოსხმამდის ნახევარ კუნძულს შრაპნელის ცეცხლში ჰხვევდა. 16 საათიდან 18 საათამდე მტერი გრაფენჰოფის რაიონს უშენდა. ჩვენი არტილერია ცეცხლითვე უპასუხებდა.

**მთავარ ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** ოქტ. 11. ცვლილება არ მომხდარა.

**ოიზელის ჰარტილერისტები.**

**ჰელსინგფორსი.** ოქტ. 10. ოიზელიდან დაბრუნებულ არტილერისტებს სადილი გაუმართეს. ერთმა ამათთაგანმა განაცხადა, რომ ისინი სავსებით ასრულებდნენ უფროსების განკარგულებებს და შემდეგშიაც ასე გაირჯებიან სვეაბორგის დასაცავად. კომენდანტმა ჯარის კაცს აკოცა.

**საზღვაო ბრძოლა.**

**ჰელსინგფორსი.** ოქტ. 10. კუნძულ ოიზელზე სვეაბორგის 3 ბატარეა იმყოფებოდა, რომელთაც ტაგალახტის და კოლკონტის პოზიციები ეჭირათ. სექტ. 28 ტაგალახტთან და მუსტიალისთან გერმანელებმა 3 ბატალიონი გადმოსხეს, მაგრამ საღამოთი უკვე 6000 კაცამდე ავიდა. მათ გადასჭრეს ტელეფონის მავთულები და არენსბურგისაკენ გამოემართნენ. ჩვენი საზღვაო ბატარეები მტრის დრედნოუტების ცეცხლმა აღგავა დედამიწის პირიდან. საველე ბატარეები 4 საათის ბრძოლის შემდეგ შუაგულ კუნძულისკენ წამოვიდნენ. ზოგი ზარბაზანი ცხენების დახოცვის შემდეგ იქვე დაჰყარეს. არტილერისტების სიტყვით ზოგიერთ ბატარეას უკან დახევისასა მტრის რაზმები ესხმებოდნენ თავს. მათივე მოწმობით საზღვაო ბატარეები სანაქებოდ მოქმედებდნენ.

**გენერალ კორნილოვის ბრძანება.**

„ნოვ. ჟიზნ"-ში მოთავსებულია გენერალ კორნილოვის ბრძანება: აგვის. 29. № 900. უმაღლესი მთავარსარდალი, გენერალი კორნილოვი საჭიროდ ვთვლი ავუხსნა ყველა ჩემდა რწმუნებულს ჯარს, მათს კომისრებს, ორგანიზაციების მიერ არჩეულ პირებს მომხდარი ამბების ვითარება: ფაქტიურ წერილობითი ცნობებით, გერმანელთა ჯაშუშების წინააღმდეგ მებრძოლთაგან, დაჭერილ დეპეშებით და პირად დაკვირვებით შემდეგი შევიტყე: 1) ყაზანში მომხდარი აფეთქება, რამაც შთანთქა მილიონზე მეტი ყუმბარა და 12 ტყვიის მფრქვეველი—გერმანელთა აგენტების მონაწილეობით მოხდა. 2) დონეცის რაიონის და სამხრეთ რუსეთის რუსეთის მაღაროებისა და ქარხნების დასაშლელად გერმანეთი მილიონებსა ჰხარჯავს. 3) გერმანელთა ჯაშუშების წინააღმდეგ მებრძოლნი ჰოლანდიიდან იტყობინებიან: ა) ამ დღეებში მთელს ფრონტზე აპირებენ შემოტევას. განზრახული აქვთ შეაძრწუნონ და დაქსაქსონ ჩვენი დარღვეული ჯარი. ბ) ფინლიანდიაში ამბოხება მზადდება. გ) განზრახულია დნეპრის და ვოლგის ხიდების აფეთქება. დ) პეტროგადში ბოლშევიკების აჯანყება მზადდება. 4) მარიამობისთვის 3-ს საზამთრო შენობაში, მინისტრების საბჭოს სხდომაზე, კერენსკიმ და სავინკოვმა პირადად მთხოვეს, რომ მე ფრთხილად ვყოფილიყავ და ყველაფერი არ მეთქვა, ვინაიდან მინისტრების შორის არა სანდო პირებიც არიან. 5) საბუთი მაქვს აგრეთვე ლალოტი შესვწამო სხვა და სხვა უპასუხისმგებლო ორგანიზაციებს, რომელთაც გერმანელების ფულები ამუშავებთ და რომელთაც გავლენა აქვთ მთავრობის მუშაობაზე.

**დასავლეთის ფრონტი**

**პარიზი.** 10. ლაფფოს წისქვილის ჩრდილოეთით ფრანგებმა იერიში მიიტანეს და 3 კილომეტრით წინ წაიწიეს მთელს ფრონტზე, რომლის სიგანეც 10 კილომეტრს უდრის. დღევანდელამდე ხელთ ვიგდეთ 3 ათასი ტყვე და 19 მძიმე ზარბაზანი. ბრძოლა იზრდება.

**პარიზი.** 10. ჰავასის სააგენტო იუწყება, მოკავშირეებმა საფრანგეთში კვლავ მარჯვე შეტევა დაიწყეს. ინგლისელებისა და ფრანგების ჯარმა მდ. კოოლიბეკამდე მიაღწიეს. მტერმა ერთხელ კიდევ დაგვითმო მრავალი ტყვე და უთვალავი სამხედრო მასალა. მდ. ენის ფრონტზე ფრანგების მზვერავთა რაზმებმა დიდი მოქმედება გამოიჩინეს. დიდი მოქმედებაა აგრეთვე შამპანში სენ ფანტენიდან დაწყებული ტაგიურამდის. საარტილერიო ბრძოლა ძლიერდება.

**ლონდონი.** ოქტ. 10. ფლანდრიაშიპელკაპელესრაიონში ფრანგებთანერთად მარჯვედ ვმოქმედობთ. ასევე გუტსიულტის ტყის სამხრეთით. პელკაპელეს აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა მტრის სიმაგრეები დაიჭირა. მთელი ღამე კოკისპირულად წვიმდა. მოქმედება გაძნელდა, ამის და მიუხედავად ჩვენ ყველა მიზნებს მივაღწიეთ. პელკაპელლეს სამხრეთით ჩვენები კვლავ წინ იწევენ, ხელთ იგდეს მტრის სიმაგრეები. პელკაპელლეს ჩრდილოეთით ჩვენებმა ფრანგებთან ერთად იპრ-სტადენის რკინის გზიდან დაწყებული მანგელარეს ჩრდილოეთით მდებარე ადგილამდე იერიშები მიიტანეს. გაჩაღდა ცხარე ბრძოლა. ჩვენებმა გუტხიულსტის ჩრდილოეთით მდებარე მოსაგერიებელი ხაზი დაიჭირეს. ჩვენს ხელშია რამდენიმე ფერმა და გამაგრებული პუნქტები. მოკავშირეთა ჯარი ტყის საზღვარს გასცდა იპრსტედენის რკინის გზის რაიონში მტერმა ძლიერი კონტრ-იერიში მიიტანა და ჩვენი ცხენოსნები შეაჩერა. მდ. სკარპის სამხრეთით ხელჩართულ იერიშში რამოდენიმე კაცი დავკარგეთ. გუტხიულსტის ტყის სამხრეთით მტერმა ჩვენს ახლად დაჭერილ ადგილზე იერიში მოიტანა და მეციხოვნენი უკან დაახევინა. ჩვენ მიერ დაჭერილი ადგილები გავამაგრეთ. კიდევ წვიმს.

**კომპანია კანცლერის წინააღმდეგ**

**კოპენჰაგენი.** 10 ოქტ. ბერლინიდან იუწყებიან, ორშაბათს მოხდა რეიხსტაგის უმრავლესთა პარტიის თათბირი. თათბირს კონფიდენციური ხასიათი ჰქონდა. უმრავლესთა ორგანოები აცხადებენ: კანცლერის გადაყენება აუცილებელია. საკითხი მხოლოდ მის მოადგილის დასახელებაა.

# წყურვილით ვიხრჩობით.

თითქმის 30 წელიწადი გადის მას შემდეგ რაც პირველი აზრი დაიბადა, რომ ქუთაისში წყალსადენი გაეყვანათ. ამ მიზნის განსახორციელებლად თეორეტიულად კიდეც მუშაობდენ, პროექტს პროექტზე ადგენდენ, ხარჯთ-აღრიცხვას ხარჯთ-აღრიცხვაზე, მაგრამ ყველა ეს განუხორციელებელი რჩებოდა.

ასეთ მძიმე მომენტში წყალსადენის გაყვანის შესახებ ზრუნვა და ფიქრიც კი არ შეიძლება, მაგრამ წყლის მზიდავების საშვალებით რომ მცხოვრებთა მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქმნეს ეს კი შესაძლებელია.

დღეს ქუთაისის მცხოვრებნი წყურვილით იხრჩობა. არ არის წყალი.

ომის დაწყებამდის ქუთაისში იყო 75 წყლის მზიდავი. დღეს მხოლოდ 30 არის. ომის დაწყებამდისაც ვერ იყო უზრუნველყოფილი წყლით მცხოვრებთა მოთხოვნილება და რა მდგომარეობაში უნდა იყვეს დღეს, როდესაც წყლის მოწოდება სამჯერ შემცირდა — ყველასათვის აშკარაა. მაგრამ ყველას აღელვებს თავხედობა თვით წყლის მზიდავებისა.

ქალაქის თვითმართველობის დადგენილებით თითეული წყლის მზიდავი „ბოჩკა" წყალში უნდა ღებულობდნენ 6 დან 10 შაურამდის. და როგორც ასრულებს წყლის მზიდავები ამ დადგენილებას კარგათ მოეხსენება თვითეულ მცხოვრებს.

თითო ბოჩკა წყალში 4—5 მანეთს ღებულობენ ე. ი. მათემატიკურად, რომ გამოვიანგარიშოთ ერთ ჭიქა წყალს შაური მოუდის.

რას ნიშნავს ეს! განა ამაზე ტყავის გაძრობა კიდევ შეიძლება?

გამოანგარიშებით წყლის მზიდავმა, რომ დღის განმავლობაში 8 საათს იმუშაოს 12 გზობას გააკეთებს, მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება, რომ ისინი დილიდან საღამომდის მუშაობენ და ამ რიგათ აკეთებენ არა ნაკლებ 20 გზობისა. თითო „ბოჩკა" წყალი რომ ერთი მეორეზე 4 მანეთი ვიანგარიშოთ თვითეული წყლის მზიდავი დღეში ღებულობს არა ნაკლებ 80 მანეთისა.

აი სამართლიანობა „ტანჯული მუშისა"!

მაგრამ საყურადღებოა ერთი ფაქტი. წყლის მზიდავები განთავისუფლებულნი არიან სამხედრო ბეგარისაგან, როგორც სახელმწიფოს თავდაცვის მომუშავენი. ამ მხრით ისინი მოვალენი არიან მცხოვრებთა ინტერესებსაც მიაქციონ ყურადღება. მაგრამ ყველამ კარგათ უწყის რ. ნაირ ჩხუბსა და ალიაქოთს აქვს ადგილი ყოველ დღე ქუთაისის ქუჩებში.

საქმის გამოსავლარებლად რა გზას უნდა დავადგეთ?

ამას ყურადღება უკვე მიაქცია ქალაქის გამგეობამ.

11 ოქტომბერს ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ წყლის მიწოდება თვითონ მოაწყოს, მაგრამ სალარო ცარიელია. საქმის მოსაწყობათ კი საჭიროა 60,100 მანეთი,

ქალაქის გამგეობის მოხსენებისამებრ შეძენილ უნდა იქმნეს 30 „ბოჩკა" 20—15 ვედროიანი და 10—20 ვედროიანი. ამ ბოჩკებით შეიძლება დღეში ქალაქს მიაწოდონ 1,800,000 ვედრო წყალი. თითო ვედრო წყალის ფასი 9 კაპიკი იქნება ე. ი. 15 ვედროიანი ბოჩკა ეღირება 1 მანეთად და 7 შაურად და 20 ვედროიანი 1 მანეთად და 4 აბაზათ.

ყოველივე ხარჯების გარდა ქალაქს წლიურად რჩება 20.800 მანეთი.

საქმეს მხოლოდ თანხის გამონახვა აბრკოლებს, მაგრამ საბჭომ დაადგინა, რომ 60,100 მანეთი, რომელიც პირველად სჭირდება საქმის დასაწყებათ, სესხათ აიღოს ბანკებიდან.

საქმეს ამ დღეებში შეუდგებიან და როდესაც წესიერათ მოეწყობა, შეიძლება შემდეგ მაინც არ დავიხრჩოთ წყურვილით.

მაგრამ სანამ ქალაქი თვითონ დაიწყებდეს წყლის მიწოდებას, მანამდის სულ ცოტა ერთი თვე მაინც გვაა და ამ ხნის განმავლობაში კერძო წყლის მზიდავები ფასს კიდევ მოუმატებენ და მცხოვრებთ საშინელ მდგომარეობაში ჩააყენებენ.

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს ადმინისტრაციის მხრით, მაგრამ თვითეული წყლის მზიდავი უფრო მაგრათ მოჰქმედობს, ვინემ რომელიმე ადმინისტრატორი.

ერთი სიტყვით მდგომარეობა საშიშია და ასეთი საშიშროება 70,000 მცხოვრებს მოელის რამდენიმე „მუშის" თავხედობით.

წყურვილით ვიხრჩობით!..

**ნამი.**

# ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

**სია დამფუძნებელ კრებაში გასაგზავნი რწმუნებულებისა სოც.-დემოკრ. (მეუმცირეს.)** პარტიამ უკვე წარუდგინა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს თავისი კანდიდატების სია № 1. სიაში შეტანილი არიან: ნ. ჟორდანია, ირ. წერეთელი, ნ. (კარლო) ჩხეიძე, ევ. გეგეჭკორი, ა. ზურაბოვი, ნ. რამიშვილი, ის. რამიშვილი, ა. ჩხენკელი, მ. სკობელევი, ვ. ჯიბლაძე, და გრ. გიორგაძე.

სია დამფუძნებელ კრებაში ასარჩევ კანდიდატებისა წარადგინა აგრეთვე დაშნაკცაკანთა პარტიამაც. ამათ სიაში შეტანილნი არიან შემდეგი პირები: ს. ზორიანი მ. ოვანესიანი, ექიმი ოგაჯანიანი, ექიმი ზავრიევი, ა. შახატუნიანი, კ. ამბარცუმიანი, ო. ყარაზნურიანი, ს. ტიგრანიანი, კ. ყაზაზიანი, ს. შახნაზარიანი, კ. ჩილინგარიანი, ს. მრუზინიანი, ა. გიულხანდანიანი, პ. ნავასარდიანი, გ. ხატისიანი, ლ. ნაზარიანი, ა. ნალჩაჯიანი და გლეხი ს. ამბარცუმიანი.

**სამხედრო წესების მოხსნა.** გუბერნიის კომისარის გრ. გიორგაძის ბრძანებით, გუშინ ქუთაისში სამხედრო წესები მოხსნეს.

**დეპეში ქალაქის თვითმართველობისა** დღეს, 14 ოქტომბერს ქ. მოსკოვში გაიხსნება სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის ყრილობა. რადგანაც ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ ამ ყრილობაზე თავის წარმომადგენელი ვერ გაგზავნა, ყრილობის თავმჯდომარეს შემდეგი დეპეში გაუგზავნა:

ვინაიდან სამწუხაროთ ქ. ქუთაისის საბჭომ ვერ შესძლო ყრილობაზე თავის წარმომადგენელის გამოგზავნა, საბჭო ულოცავს ყრილობას და გამოსთქვამს სურვილს, რომ ყრილობის მიერ აღძრულ იქმნეს სათანადო შუამდგომლობა დროებით მთავრობის წინაშე, რათა საერთო უფლებრივი მხარე და განსაკუთრებით კი ფინანსიური უფლება გაფართოებული იყოს, რომ განახლებულ თვითმმართველობას შეეძლოს არსებობა და დემოკრატიის სამსახური.

**გარნიზონის უფროსი.** რადგანაც სამხედრო უფროსები დატვირთულნი არიან საქმეებით და არ შეუძლიათ გარნიზონის უფროსობაც შეასრულონ, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსის განკარგულებით, გარნიზონის უფროსობა უნდა გადაეცეს სხვა პირს. ამის გამო 12 ოქტომბრიდან ქუთაისის გარნიზონის უფროსის მოვალეობა ჩაიბარა 110 სათადარიგო პოლკის უფროსმა პოლკოვნიკ პოპოვმა.

**გაზეთი.** ს. რევოლუციონერთა ქუთაისის ორგანო გაზ. „შრომა" ორშაბათიდან ყოველდღე გამოვა.

**მოთხოვნილება.** ქალაქის საავადმყოფოს მოსამსახურეებმა ქალაქის გამგეობას შემდეგი მოთხოვნილება წარუდგინეს: 1) 1 ოქტომბრიდან მოგვემატოს ჯამაგირებზე 60 პროცენტი, 2) გადამდებ სენიანთა მოსამსახურეებს მიეცესთ თვეში 10 მანეთით მეტი ვინემ სხვებს. და 3) თუ ხოლერა გაჩნდა მოგვეცეს ზედმეტი კიდევ 50 პროცენტით და თუ შავი ჭირი იმ შემთხვევაში სამკეცი ჯამაგირი.

**ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა საზოგადო კრება.** 12 ოქტომბერს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრებამ ამ მოსამსახურეთა კავშირის ბიუროს წინადადების თანახმად სამსახურიდან დაითხოვა ქალაქის საადმაშენებლო ნაწილის მოსამსახურე გ. როინიშვილი, რომელსაც თავის ნებით მიუტოვებია სამსახური და აგერ ერთი თვეა არ დაბრუნებულა. დათხოვნილ იქნა აგრეთვე ბაზრის ზედამხედველი ს. ჩიქოვანი სამსახურის გულციავათ შესრულებისათვის და ბაღის დარაჯი აბაზაძე, რომელსაც ბრალდებოდა ბოროტების ჩადენა სამსახურის დრო.

ბიურომ მოხსენება გააკეთა აგრეთვე, რომ განათების მეთვალყურე კიზირია, რომელიც მოხუცებულობის გამო თავის მოვალეობას კარგათ ვერ ასრულებს გადააყენონ სამსახურიდან, მაგრამ კრებამ დაადგინა კიზირია იანვრამდის დასტოვოს.

იმსჯელეს აგრეთვე გადასახადების ამკრეფ დემეტრაძესა და ხეტერელზე, რომელნიც დასასვენებლათ იყვნენ წასული და ვადის გათავებისას ჯერაც არ დაბრუნებულან. კრებამ დაადგინა მოიცადონ ამ თვის დამლევამდის და თუ მაშინაც არ გამოცხადდენ, იმ შემთხვევაში სამსახურიდან დაითხოვონ.

ჯამაგირების მომატების შესახებ კრებამ დაადგინა: რადგანაც ამ უკანასკნელ ხანებში ყოველგვარი საქონელი გაძვირდა, ეთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ იშვამდგომლოს საბჭოს წინაშე რათა მოსამსახურეებს ჯამაგირი მოემატოს თანასწორი პრინციპის დაცვით ე. ი. ყველა მოსამსახურეებს ერთნაირათ უნდა მოემატოსთ როგორც ეს თბილისში და სხვა ქალაქებში მოხდა.

**300,000 მანეთის სესხათ აღება.** ქალაქის საბჭომ დაადგინა აიღოს მოკლე ან გრძელ ვადიან სესხათ 300,000 მანეთი სხვა და სხვა საჭიროების დასაფარავათ. ამისთვის ქალაქმა უნდა დააგიროს და გაადაგიროს ქალაქის მამულები.

**ქუთაისის მესამე გიმნაზიის** პედაგოგიური საბჭო სთხოვს ქალაქის თვითმართველობას დანიშნოს ერთი თავისი წარმომადგენელი ხსენებული სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოში.

**დამფუძნებელი კრების მომწყობი კომისია.** ქალაქის თანახმათ საბჭოს დადგენილებისა შესდგება განსაკუთრებული კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს დამფუძნებელი კრებისათვის ქალაქის არჩევნებს. ამ კომისიაში ქალაქი თვითმართველობიდან შევლენ: გამგეობის 3 წევრი და ხმოსნებიდან: გრ. გიორგაძე, თალაკვაძე, ელიგულაშვილი, კაპანაძე ა. ფალავა.

**სახაზინო ნივთების გაყიდვა.** კავკასიის ფრონტის საბჭო დეპეშით სთხოვს ქუთაისის გარნიზონის აღმასრულებელ კომიტეტს, რომ ბევრ ადგილებში ჯარის კაცები სახაზინო ნივთებს ჰყიდიან და სთხოვს, რომ ზომები იქნას მიღებული, რათა ასეთი არა შესაფერისი მოქმედება ჯარის კაცებისა მოსპობილ იქმნას.

**დეპეში გრ. ურატაძისა.** ქუთაისის გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ გრ. ურატაძემ შემდეგი შინაარსის დეპეში გაუგზავნა ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს: ვშუამდგომლობ-გახსნათ 5,000 მანეთის კრედიტი ლეჩხუმის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტისთვის. ამას გარდა გთხოვთ წრაფე განკარგულებას, რომ ლეჩხუმის მაზრის კომისარს ვაეგზავნოს 170 თოფი და 10,000 პატრონი. ლეჩხუმში სდგება შავი რაზმი, ნაწილი უკვე შემდგარია. ამასთან საბრძოლველათ საჭიროა მილიციონერთა რიცხვის გადიდება 50 კაცით მაინც, ყველა ეს შუამდგომლობა გამოიწვია არსებულმა გადაუდებელ საჭიროებამ.

**ვაჭარ მრეწველთა ყრილობა.** კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა ყრილობაზე დასასწრებლათ, რომელიც გაიხსნება 15 ოქტომბერს თბილისში ქუთაისის ვაჭარმრეწველთა საკრებულომ თავისი წარმომამადგენელებათ აირჩია ტიტე მარგველაშვილი, მიტროფანე ლალიძე და რაჟდენ დათეშიძე.

**ქუთაისის თავდაცვისათიის** ქალაქის საბჭომ დაადგინა: შეადგინოს ახალი მილიცია სანდო პირებისაგან. ქუთაისი დაჰყონ 5 უბნათ მილიციონერთა რიცხვი 150 კაცამდის გახადონ, შეადგინონ 50 კაცისგან შემდგარი ცხენოსანი მილიცია და სისხლის სამართლის მილიცია. აგრეთვე უნდა იქნეს სანდო ჯარის კაცებისაგან შემდგარი როტები, რომელნიც წესიერებას დაიცვენ ქალაქში.

**ჟურნალ გაზეთების** კანტორა „იმერეთის" გამგემ ი. კვიცარიძემ კაკი წერეთლის ქუთაისში ჩამოსვლის პატივსაცემლათ გუშინ მოიწვია თავის კანტორაში კაკი წერეთელი, ე. გეგეჭკორი და გრ. გიორგაძე და ჩვენი მწერლების სურათების წინ ერთათ გადიღო სურათი ი. კვიცარიძეს აზრათ აქვს ეს სურათები გაგზავნოს პეტროგრადს იქაურ ჟურნალებში დასაბეჭდათ.

**წიგნები** ჟურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთმა" მიიღო სატახტო ქალაქების დიდძალი ახალი საამდროვო რუსული წიგნები სადღეისო მომენტის საჭირბოროტო საკითხების შესახებ. კანტორას მოუვიდა აგრეთვე სატახტო ქალაქის შეწყვეტილი ჟურნალ გაზეთები.

**თეატრი.** კვირას, 15 ოქტომბერს გაიხსნება სეზონი ქართულ დრამატიული დასისა. მ. ქორელის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება პირველად შიუკაშვილის პიესა **„სულელი"**, მონაწილეობას მიიღებს დასის მთელი შემადგენლობა.

**გვთხოვენ გამოვაცხადოთ,** რომ ბიქტორ ხუნდაძემ დაჰკარგა 25 მანეთი ფული და ჯარისკაცობიდან დროებით განთავისუფლების ქაღალდი. მნახველს სთხოვს ფული თვითონ დაიტოვოს, ხოლო მოწმობა გადასცეს წყალ-გაღმა უბნის კომისარიატს.

პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**ქ. ზესტაფონი.** ზესტაფონის ქალ-ვაჟთა გიმნაზიაში საჭიროა გალობის მასწავლებელი. ამ უკანასკნელს დაეთმობა აგრეთვე კლასის დამრიგებლის თანაშემწის ადგილი. წლიური ჯამაგირი ათას-რვაასი მანეთია. მსურველს შეუძლია გამოგზავნოს თხოვნა გიმნაზიის სახელზე.

**თბილისი.**

**თბილისის უნივერსიტეტი.** პეტროგრადიდან პირდაპირი მავთულით ატყობინებენ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა გახსნას მომავალ იანვრიდან თბილისში უნივერსიტეტი. ჯერ ჯერობით მოწყობილი იქნება ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო მკათათვიდან ქიმია-ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტიც გაიხსნება.

— **დამფუძნებელ კრების გარშემო.** თბილისში უკვე შეუდგენ საქალაქო კომისიის ორგანიზაციას, რომელმაც დამფუძნებელ კრებაში გასაგზავნთა არჩევნებს უნდა უხელმძღვანელოს. დამატებითი სიები შედგენილია უბნებში. ამ დღეებში შეუდგებიან სიების განაწილებას საარჩევნო უბნებში.

— **გლეხთა საოლქო ცენტრმა** ბ-ნ ალიევი გაგზავნა ლენქორანის მაზრაში მცხოვრებთა შორის მშვიდობიან დამოკიდებულების აღსადგენად. უკანასკნელ დროს ჯარის კაცებს ძალადობა უხმარიათ 14 მუსულმანზე, რომელიც სხვა და სხვა სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენელნი იყვნენ.

— **ძარცვა-გლეჯა.** გლეხთა საოლქო ცენტრს რამდენიმე დეპეშა მოუვიდა შესახებ იმისა, რომ ნუხის მაზრაში ძარცვა-გლეჯამ გაიდგა ფეხი და ადგილობრივი მთავრობა არას აკეთებს. საოლქო ცენტრმა დაადგინა შეეკითხოს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს: რა ღონისძიება მიმ. მიღე მიღებულია. მომქმედი მთავრობის მოსაწყობად ნუხის მაზრაში ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ საბრძოლველად.

— **ტრამვაის ტარიფის გადიდება.** ამ მოკლე ხანში ქალაქის გამგეობა პროექტს წარუდგენს ქალაქის საბჭოს შესახებ ტრამვაის ტარიფის გაორკეცებისას. უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში ტრამვაის დეფიციტი 200,000 მანეთს აღემატება.

# უკანასკნელი დეპეშები.

დონის როსტოვიდან იტყობინებიან, 11 ოქტომბერს დინამიტით ააფეთქეს ვაჭარ-პაპოვის სახლი. მსხვერპლი არ მომხდარა. ბოროტ-გამზრახველები მიიმალენ.

—

სადგურ კლიკის კატასტროფის დროს მკვდარია 16 კაცი, მათში 10 ჯარის-კაცია. 28 მძიმეთ არის დაჭრილი, 7-მა მცირე ჭრილობა მიიღო.

—

კიევში 11 ოქტომბერს გაიხსნა სრულიათ რუსეთის ებრაელთა სამხედრო ორგანიზაციათა კონფერენცია.

—

იმ ოფიცრებს, რომლებიც ან გუბერნიის კომისრებათ ან მათ ამხანაგებათ და სამაზრო კომისრებათ ირიცხებიან სამხედრო მინისტრის განკარგულებით სამსახურში გაწვევის ვადა გადაუდვესთ.

—

სადგურ ნიკოლაევსკზე საფოსტო მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს, 16 კაცი მოკლულია 30 დაჭრილია, 6 ვაგონი დაიმსხვრა. მაშინსტი და მისი თანაშემწე მიიმალენ — მატარებელი მსვლელობას თავისუფალ ლიანდაგებზე განაგრძობს.

—

სახელმწიფო მზრუნველობის სასწავლებლები მოსკოვიდან სხვა ქალაქებში გადააქვთ.

—

ამერიკიდან დიდძალ ფეხსაცმელებს მოელიან. 7 მილიონი წყვილი უკვე გზაშია.

—

კრონშტადტის დასაცლელად ემზადებიან.

—

რუსეთის სოც.-დემ. პარტიის პეტროგრადის კომიტეტმა დამფუძნებელ კრების კანდიდატთა სიაში ჩხეიძე არ შეიტანა.

—

კადეტები იმის წინააღმდეგნი არიან, რომ რესპუბლიკანურ წესწყობილების დასაცავად საგანგებო კომისია შესდგეს. საბოლოოდ გამორკვეული არ არის რუსეთში როგორი წესწყობილება დაკანონდებაო.

—

სუყველა საარმიო კომიტეტებმა ჩრდილოეთის ფრონტზე და აგრეთვე ფრონტის 8 კომიტეტმა საწინააღმდეგო აზრი გამოთქვეს მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოების დეპუტატების ყრილობის მოწვევისა, რომელიც დამფუძნებელ კრების საარჩევნო სამზადისში დიდ არევ-დარევას შეიტანსო.

—

ფსკოვში დასრულდა გლეხების წარმომადგენლების მეორე საგუბერნიო ყრილობა, ყრილობამ „ბოლშევიკური" ხასიათის რეზოლუციები გამოიტანა.

—

როსტოვის კომისარმა ვორონკოვმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ სამიწადმოქმედო კომიტეტებმა მოქმედება შესწყვიტონ, რადგან ეს დაწესებულება ერთგვარი ანარქიის წყაროაო. ისინი მიწებს მსხვილებთან ერთად წვრილ მიწადმფლობელებსაც ართმევენ მიწებსო.

# ეროვნული კითხვა.

**უკრაინის თავისუფალი ყაზახობა**

**კიევი.** ოქტომბ. 10. ჩაგირინში შემდგარმა სრულიად უკრაინის ყაზახთა ყრილობამ კორპუსის უფროსს გენერალ სკოროპადსკის თავისუფალ ყაზახობის სახელწოდება ტელეგრაფით შესთავაზა.

**ყუბანის ყაზახთა რადა**

**ეკატერინოდარი.** ოქტომბ. 10. სამხედრო რადამ ჯარის ატამანად პოლკოვნიკი ფილიმონოვი აირჩია. მანვე თავის წრიდან აირჩია საკანონმდებლო რადა, რომელმაც უნდა აირჩიოს მთავრობა — თავმჯდომარე და 10 წევრი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ძარცვა გლეჯა პეტრეს ქალაქში.**

უკანასკნელ დროს პეტრეს ქალაქში საოცარი სახე მიიღო ძარცვა-გლეჯამ და თავდასხმებმა. ერთი ღამის განმავლობაში (ოქტომბრის 4 ს.) გაუძარცვავთ 400 კაცი.

**რკინის გზებზე.**

**გაზ.** „რუს. სლოვო"-ს ატყობინებენ, რომ რკინის გზის უწესობამ სტიქიური **ხასიათი** მიიღო. პროვინციის რკინის გზებზე **ხოცავენ** მგზავრებს, იტაცებენ ქონებას **და აწამებენ** ქალებს.

**აჯანყება.**

ქ. ტვერში აჯანყდენ ძველი ინვალიდი **ჯარისკაცები და** მოითხოვეს საჩქაროთ **სამსახურიდან** განთავისუფლება.

**პრესის დევნა.**

პროვინციულ ქალაქებში მეტად გახშირდა პრესის დევნა. ამას წინად ქალაქ ტაშკენტში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ შეაჩერა არა სოციალისტური გაზეთი და შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა რედაქციას: „თქვენი ორგანო კონტრ-რევოლუციურია და ამიტომ მისი არსებობა ჩვენ არა გვსურსო.

**ახალ მართლ წერის შესახებ.**

სახელმწიფო განათლების კომიტეტმა საჭიროთ სცნო, რომ ახალ მართლ წერის ცხოვრებაში გასატარებლათ და ხალხში გასავრცელებლად უპირველეს ყოვლისა მიუცილებელია ეს მართლ წერა თვითონ სახელმწიფო განათლების კომიტეტმა შემოიღოს, თავის გამოცემებში ამიერიდან ახალი მართლ წერა იხმაროს და აგრეთვე დრ. მმართველობის „უწყებები" ამ ახალი მართლ წერის მიხედვით დაბეჭდოს.

**პოლონეთის სარეგენტოს საბჭო.**

კრაკოვიდან მიღებულ ცნობების თანახმად ამ მოლე ხანში ავსტრია გერმანეთის მთავრობა დაამტკიცებს პოლონეთის სარეგენტოს საბჭოს.

**შვეიცარია ომში ჩაერევაო.**

შვეიცარიის ჯარის გენერალი სიმუსმა გენ. ვილლემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რადგან ამერიკა მოწადინებულია ნეიტრალი სახელმწიფოების გარემოცვა მოახდინოს გაზაფხულზე ამიტომ მოსალოდნელია შვეიცარია ომში ჩაერიოსო.

**ავსტრია და ზავი.**

ქ. სტოკჰოლმს ჩასულან ავსტრიის ოფიციალი წარმომადგენლები იტგნესი და გრიუნაუტო, რომელთაც უთქვამს: ავსტრია მზად არის ახლავე ზავი ჩამოაგდოს ყოველგვარ ანექსიის და ტერიტორიულ კომპენსაციის უარყოფითო.

**ბულგარეთი და ომი.**

ბულგარელ პუბლიცისტს მილევს ჟურნალისტებისთვის განუცხადებია, რომ ჯერ მსოფლიო ომს ბულგარეთისთვის არავითარი ზიანი არ მოუტანია, ბულგარეთი გამარჯვებულათ სთვლის თავს და იმედი აქვს, რომ თავის სურვილს მის წვდება.

**დაძმობილება**

ჩრდილო დასავლეთის ფრონტიდან იუწყებიან: ჯარის ერთი ნაწილი, რომელიც ბოლშევიკების გავლენას ექვემდებარებოდა მტერთან დაძმობილებას შეუდგა, რის გამოც ჯარის მეორე ნაწილმა სროლა აუტეხა, მსხვერპლი დიდია.

**კიევზე გამოლაშქრება.**

იმპერატორი კარლოსი იყო კოველში და სხვა სამხედრო პუნკტებში. მან ინახულა ბავარიის პრინცი. ამბობენ კარლოსის მოგზაურობას მოკლე ხანში ავსტრიელთა კიევზე გამოლაშქრება მოყვებაო.

## მეც მათქმევინეთ!

**(ქუთ. წმ. ნინოს სასწავლებლის გარშემო.)**

ნათქვამია: „ქვეყანა ინგრეოდა, ჰინჰრაქა-კი ქორწილს ეპირებოდაო" სწორედ ამ საარაკო ჩიტს მაგონებენ ის ქალბატონები და ვაჟბატონები, რომელთაც ამ სისხლის წვიმების დროს მოუცლიათ და ყოვლად უდანაშაულო, — საქმისთვის თავდადებულ კაცს — მიჰსევიან და აღარ იციან, როგორ გაუტეხონ სახელი!

(იხილეთ „გოლოს სოლდატას და „ხალხის მეგობრის" უკანასკნელი ნომრები).

ეს კაცი გახლავთ ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის საქალებო სასწავლებლის ინსპექტორი კ. ბ. გაბრაშვილი.

მართალია, — ერთი ჩემი თანამოკალმის თქმისა არ იყოს — ჰიანჰველას მეხი არასოდეს არ დაეცემა ხოლმე და თუ ბ-ნ გაბარაშვილს „მეხი ეცემა" ალბად თვალებში ეჩხირება ვისმე, მაგრამ გულუბრყვილო კაცს კი — ისეთ კაცს, რომელიც მიამიტად გაივლის მდელოზე, ხშირად ჰიანჰველები დაეხვევიან ხოლმე და ეს კი, ვინ არ იცის, რა უსიამოვნო შემთხვევაა!

მე ვგრძნობ, რომ ბ-ნი გაბარაშვილიც დიდ უსიამოვნებას უნდა განიცდიდეს, იმ კოლეგებისაგან, რომელნიც მას დასევიან და სუსხავენ.

რათა, რისთვის? განა რა დანაშაული მიუძღვის მას, როგორც სკოლის უფროსს და პედაგოგს?

მე, ბ-ნ გაბრაშვილის ყოფილი თანამოსამსახურე და ახლა მდგომი წმ. ნინოს სასწავლებელთან, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს საჯაროდ ვსთქვა, რომ ბ-ნ გაბარაშვილს ტყუილად სწამებენ ცილს და მხოლოდ თავის ჰიანჰველურ ნესტარს ილესავენ.

განა ცოტაა ქვეყანაზე ჩხირკედელა, მაგრამ გულგიწრო ადამიანი?

უნდა იცოდეთ, ბატონებო, რომ ბ. გაბარაშვილის ჩამოსვლამდე, ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის საქალებო სასწავლებელი სწორედ ჯოჯოხეთი იყო მოწაფეებისთვისაცა' და მასწავლებლებისთვისაც, 1847 წლიდან 1916 წლამდე, მე მგონია, იქ „ქრისტიან" ადამიანს არ უუფროსებია და მთელი სკოლა მიუდგომელ ციხედ, უპატრონო ეკლესიად იყო გადაქცეული*).

1913 წლ. 1917 წლის ენკენისთვემდე მე თვითონ იქ გახლდით მასწავლებლად და ჩემს სიცოცხლეში ბევრჯელ არ გამომიცდია ისეთი ტანჯვა, როგორც ზნეობრივ ტანჯვასაც იქ განვიცდიდი.

სასწავლებელს ბაბაყულივით დასჯდომოდა თავს უფროსი ქალი, ვიღაც იახნენკო. გველ-ქორივით დასტრიალებდა იგი ამ სკოლას და მზის სხივებს არსაიდან არ უშვებდა. მას გვერდში უდგა ქუთაისში კარგად ცნობილი ვინმე ბიბიკოვი, ეს დიდი მოძულე ქართველების წარმატებისა!

ბავშები დამფთხალნი და გადაგვარებულნი იყვნენ, მათი მშობლები — დევნილნი, ხოლო მასწავლებლები კი დამონებულნი. კაი დიდი შვილი იყო და მათ წინაშე ხმას ამოიღებდა რომელიმე მასწავლებელი!

ახლა რომ ენა წაუგძელებია ვიღაც „**ნაცნობს**" „ხალხის მეგობრიდან", მაშინ მელასავით ხავხავებდა და ციცასავით თვალებში შესცქეროდა ქ-ნ იახნენკოსას. ამავე მდგომარეობაში იყვნენ თითქმის დანარჩენი მასწავლებლებიც. მე აღარ ვეხები სწავლის საქმეს აქ, ამისი ჯავრი ბევრს არა ჰქონდა, ყველა თავის თავს უფრთხილდებოდა, და იახნენკო — ბიბიკოვის შემოძახილზე ასკილივით თავებს აკანტურებდა.

ენატანიაობა, მაბეზღრობა, მორჩილება და უაღრესი მოწიწება, — აი ის ატმოსფერა, რომელშიაც ვტრიალებდით დიდი, თუ პატარა! მაგრამ, აი, ჩამოვიდა ბ-ნი გაბარაშვილი, კაცი განათლებული, ამაყი, პირდაპირი, ამხანაგისათვის თავ-დადებული და სასწავლებლის საკეთილდღეოდ პირველი იერიშიც მიიტანა ქ-ნ იახნენკოზე.

დაიწყო სასტიკი ბრძოლა. მათ შორის ან ერთი უნდა ყოფილიყო, ან მეორე!...

განებივრებულმა დედაბერმა იახნენკომ მოიშველია ჭეშმარიტი რუსობა: ბიბიკოვი, პოტულოვი, ოსეცკი და ათასი სხვა ვინმე, გაჩაღდა შეთქმულება, ქართველების წინააღმდეგ,*) მასწავლებელთა კორპორაცია გაიყო ორ ნაწილად, — უფრო მხდალები მიემხრენ „ნაჩალნიცას", დაიწერა „დონოსები" ქართველ მასწავლებელთა „ავტონომისტობისა და რევოლუციონერობის შესახებ" და, თუ თებერვლის ბედნიერი დღეები არ მოგვსწრებოდა, ვინ იცის სად ამოჰყოფდენ თავს, როგორც ბ-ნი გაბარაშვილი, ისე რამდენიმე სხვაც,..

მაგრამ რევოლუციამდეც ცოტა არ იყოს თავისუფლება დადგა ჩვენს სასწავლებელში. „ნაჩალნიცა" გაიბუტა და აღარ გვეკარებოდა. სკოლას განაგებდა მარტო ბ-ნი გაბარაშვილი, განაგებდა ამხანაგურად, თანასწორად და დამუნჯებულმა მასწავლებლებმაც ენა ამოვიდგით, ლაპარაკი ვისწავლეთ, ხოლო რევოლუციის შემდეგ კი ზოგი „გასოციალისტდა" კიდეც და ახლა კრიჰაში ჩაუდგენ იმ კაცს, რომელმაც თავი არ დაზოგა მათის უფლების აღსადგენათ...

ასეთი უმსგავსო საქციელია რომ მაღელვებს, თორემ ბ-ნ გაბარაშვილს ჩემი დაცვა არა სჭირია.

ასეთი ჯურის კაცი პასუხის გებას არა ფერში არ გაექცევა.

აი, ახლა, ამ სასწავლებელთან დაარსდა „მშობელთა წრე" ისევ ბ-ნ გაბარაშვილის თაოსნობით, სასწავლებლის მართვა-გამგეობაში დიდი ხმა ეძლევა ამ წრეს ექვი არ არის „მშობელთა წრე" პასუხს მოსთხოვს ორივე მხარეს და მაშინ ყველაფერი საჯაროდ გამოირკვევა, ვინაიდგან შუბი პარკში არ დაიმალება. მინამდე კი ვსთხოვ იმ „შვიდთაგანებს", რომელნიც „ნაცნობის" სიტყვით (იხილე მისი წერილი „ხალ. მეგობარში") აღელვებულან ბ-ნ გაბარაშვილის „საქციელით" თვითონ ვე ნუ ავრცელებენ ჭორებს, ნუ ამხედრებენ მოსწავლეებს ბ-ნ გაბარაშვილის წინააღმდეგ და, ვიდრე „მშობელთა წრე" გამოიკვლევდეს საქმის ვითარებას, ენას კბილი დააჭირონ..

ჩემთვის კი სრულიად ნათელია ის მიზეზები, რამაც ააზავთა და ამხედრა პატივცემული „შვიდთაგანი".

წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში, როგორც სხვაგანაც, მოხდა სკოლის გაქართულება, რის გამოც ზოგს უკვე მოუხდა წასვლა სასწავლებლიდან (არა ქართველებს) და ზოგსაც ალბად მოუხდება წასვლა ჩიქორთულობისათვის.

ერთი ასეთი მასწავლებელთაგანი იყო ის რუსი, უცენზო მასწავლებელი, რომელიც რევოლუციამდე იახნენკოს თვალის ჩინი იყო, „დონოსებზე" უწერდა ხელს ჩვენს წინააღმდეგ და რომელიც რევოლუციის შემდეგ უცბად გასოციალისტდა გაზეთ „გოლოს სოლდატას" მოექცა სათავეში და თავის ბოღმის ამოსაყრელად ბ-ნ ნ. სირბილაძეს უბეჭდავს ათასგვარ ცილის წამებას...

არის კიდევ მეორე მასწავლებელი, რომელიც რევოლუციამდე ბ-ნ გაბარაშვილის **წინადადებაზე,** ბავშები გელათისა და მოწამეთის მონასტრების სიძველეთა გასაცნობად წაიყვანეო. „ნაჩალნიცას" გასაგონათა და გულის მოსაგებად ტუჩაკვრით გაიძახოდა: რა საჭიროა იქ წასვლა „აქ ხომ ქართული ნაშთებიაო", ხოლო რევოლუციის შემდეგ კი დიდ „მამულიშვილობას" იჩენს და გაღმით ედევება სრულიად უდანაშაულო კაცს, რომ გამოღმა დარჩეს რამე.

დანარჩენი „შვიდთაგანნი" მათი დამქაშები არიან.

ბრთხილად, ბატონებო, გულს დაუხმეთ! ის დრო წავიდა. როცა სასწავლებელი ინტრიგების ბუდედ იყო გადაქცეული. ახლა გვჭირია გულით მართალი და საქმით სწორე მასწავლებელთა გუნდი, როგორ გუნდსაც ალბად მალე შექმნის წმ. ნინოს სასწავლებელშიც ამ სასწავლებლის მოსწავლეების მშობელთა წრე.

მასწავლებელი **ი. ცინცაძე.**

P. s. ამ თავითვე ვაცხადებ, რომ **პასუხის ღირსად არ გავხდი იმათ,** ვინც ფსევდონიმს ამოეფარება და პირდაპირ არ მოაწერს საპასუხო წერილებს თავის ნამდვილ სახელსა და გვარს. **ი. ც.**

*) ცნობილი პედაგოგი და კარგი ქართველი ს. ი. ო—ლი ერთ წელიწადსაც არ დააყენეს ამ სასწავლებელში ინსპექტორად.

მსურველებს შეუძლიათ გადაიკითხონ ეგრედწოდებული „**Архивный матеріалъ" Дѣло зав. св. Нины № 30, за 1913 г.**

აქედან ყველა ნათლად დაინახავს, თუ როგორ გაარუსეს ეს სასწავლებელი და რა დანაშაულობამდე ა'ულ გულგრილობით ეკიდებოდა ქართველი საზოგადოება წმ. ნინოს სახელსა და ამ სახელობის სასწავლებელს, ხოლო ბ-ნი სირბილაძენი კი დაინახავენ: რა შორს გაურბიან სიმართლესა და ჭეშმარიტებას, როცა ყველაფერს უდანაშაულო კაცს ახვევენ თავზე. **ავტ.**

*) როდესაც შარშან იანვარში ბ-ნ **გაბარაშვილის თაოსნობით** „ბარათაშვილის სახელობის საღამო გავმართეთ წმ. ნინოს სასწავლებლის დარბაზში, გუბერნატორი პოტულოვი უკმაყოფილო დარჩა და ბ-ნ გაბარაშვილს დიდი საყვედურიც გამოუცხადა...

ეს საღამო პირველი ქართული საღამო იყო მრავალ წელთა განმავლობაში. „შვიდთაგანი" ბევრი არ დასწრებია ამ საღამოს, ალბად იმიტომ, რომ ეს საღამო დიდად არ ესიამოვნებოდა ქ-ნ იახნენკოსაც. იმ დროს სიფრთხილეს თავი არა სტკიოდა! **ავტ.**

## ამიერ კავკასიის ადგილობრივ მთავრობის ორგანიზაცია

ამიერ კავკასიის მართვა გამგეობის წესების შესაცვლელად და შესავსებად დროებითის მთავრობის საგანგებო კომიტეტმა დაადგინა:

§ 1. დროებით, ვიდრე შემოღებულ იქმნება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით საერობო თვითმართველობა და საქალაქო, იქ, სადაც ჯერ შემოღებული არ არის, ადგილობრივ მმართველებად უნდა იყვნენ საგუბერნიო (საოლქო), სამაზრო კომისრები, რომელნიც ადგილობრივ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის პასუხის მგებელი წარმომადგენლები არიან; დროებითი მთავრობის დადგენილებანი გაჰყავთ ცხოვრებაში და ადგილობრივ მმართველობის საკითხს სწყვეტენ.

§ 2. გუბერნიის კომისარს უფლება აქვს თვალყური ადევნოს ყველა საგუბერნიო მთავრობის დაწესებულებების მოქმედებას, გარდა სასამართლოს, სახელმწიფო კანტროლის დაწესებულებისა და სახელმწიფო ბანკისა. აგრეთვე ევალება გუბერნიის კომისარს თვალყური ადევნოს საადგილმამულო, სასურსათო კომიტეტების და სახელმწიფო მართვა-გამგეობის ფუნქციების აღმასრულებელ სხვა ორგანიზაციების კანონიერ მოქმედებას.

§ 3. ყოველ სასოფლო საზოგადოებაში უნდა სდგებოდეს სოფლის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიაც სოფლის საზოგადოების წარმომადგენლები შევლენ — ას მცხოვრებზე ერთი კაცი.

**შენიშვნა:** თუ სოფელში 100-ზე ნაკლები მცხოვრებია, მაშინ ეს სოფელი მეორეს უნდა შეუერთდეს. თუ საარჩევნო ხმების დათვლის დროს ასზე ნაკლები ხმა დარჩა, მაშინ 50-ზე დიდი რიცხვი მთლიან ასეულად ჩაითვლება, 50-ზე ნაკლები კი მხედველობაში არ მიიღება.

§ 4. არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ყველა 20 წლისა და მეტი ხნის მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, თუ იმ ადგილში, სადაც არჩევნებია 1 თვეზე მეტი სცხოვრობს. ადმინისტრატიულ და პოლიტიკურ გადასახლებულთ ხმის უფლება აქვთ, თუნდაც თვეზე ნაკლებ სცხოვრობდნენ ადგილობრივ.

ხმის უფლება არა აქვთ:

ა) უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს; ბ) სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ უფლება აყრილთ და შეზღუდულთ; გ) ქურდობისათვის დასჯილებს.

**შენიშვნა:** პოლიტიკური დანაშაულისთვის სამართალში მიცემულებს უფლება არ ეზღუდებათ.

§ 5. არჩევნები უნდა მოხდეს საზოგადოების ყოველ სოფელში ცალკე, საგანგებო ინსტრუქციის წესების მიხედვით მოწვეულ საერთო კრებაზე, რომლის თავჯდომარეც თვითონ კრებამ უნდა აირჩიოს. ხმის მიცემა უნდა იყოს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული. უნდა შესდგეს არჩევნების შედეგის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და იქ მყოფი ამომრჩევლები.

**შენიშვნა:** შესაძლებელია მოწყობილ იქმნეს ქალთა საარჩევნო კრება ცალკე, თუ ამას ადგილობრივი ჩვეულება მოითხოვს. ქალების ხმები მამაკაცების ხმებს უნდა მიეთვალოს.

§ 6. მუშაობის გასაძლოლად სოფლის აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს თავისავე წევრებისაგან თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და მდივანს.

§ 7. სოფლის აღმასრულებელ კომიტეტის გამგებლობაში შედის: ა) წესიერებისა და სიმშვიდის დაცვა; ბ) თავის წევრების რიცხვიდან სოფლის კომისარების, გადასახადების ამკრებისა და თანამდებობის სხვა პირთა არჩევა; გ) სასურსათო საქმე; დ) გზათა მიმოსვლის საქმე; ე) სასკოლო საქმე; ვ) კანონის მიერ დაწესებულ გადასახადების მოსაკრებად ღონისძიების ხმარება, დანარჩენი საქმები გარდა საერობო და საადმინისტრაციო საქმეებისა განიხილავენ სოფლის ყრილობები, რომელთაც ან კომისარი იწვევს და ან მისი თანაშემწე, რომლის მოქმედების ფარგალშიაც შედის განსახილველი საკითხი.

ყოველი სოფელი კომისარის ერთ თანაშემწეს ირჩევს.

**შენიშვნა:** მამასახლისების და მისი თანაშემწეების თანამდებობანი გაუქმებულია, მათი მოვალეობანი კომისარმა და მისმა თანაშემწეებმა უნდა შეასრულონ.

§ 8. ყოველ საპოლიციო (სარაიონო) ნაწილში უნდა შესდგეს საუბნო (სარაიონო) აღმასრულებელი კომიტეტი. მისი შემადგენლობა რაიონის ამომრჩეველთა რიცხვზეა დამოკიდებული [illegible] შესდგება: ა) იმ უბნებში, [illegible] მცხოვრებთა რიცხვი 7 ათასს აღემატება, 1000-ზე ერთს წარმომადგენელს ირჩევენ; ბ) თუ იმ რაიონში კი სადაც მცხოვრები 7600 ნაკლებნი არიან, რაიონის ყოველი მცხოვრებთა ერთი მეშვიდედი ნაწილი თითო წარმომადგენელს ირჩევს. სარაიონო და სასოფლო კომიტეტების არჩევნები შეძლებისდაგვარად ერთდროულად უნდა ხდებოდეს.

არჩევნების დანარჩენ საკითხებში დაცულ უნდა იქმნეს ამ წესების მე-4 და მე-5 §§.

§ 9. იმ მაზრებში, სადაც მცხოვრებნი შერეულნი არიან, მცხოვრებთა სურვილის მიხედვით, შესაძლებელია შესდგეს საუბნო კომიტეტები; ამ შემთხვევაში აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს საპოლიციო უბნების საზღვრების დაცვა. ახალი რაიონები განსაკუთრებული ინსტრუქციის წესსა და პირობებში უნდა შეიქმნეს.

§ 10. მაზრასა და უმაზრო ქალაქებში, აგრეთვე დაბებში კომიტეტის არჩევნების დროს დაცული უნდა იქმნეს ამ დადგენილების მე-4 და მე 5 §§.

ახალი კომიტეტის წევრთა რიცხვი უკვე არსებულ კომიტეტმა უნდა განსაზღვროს.

§ 11. სამაზრო და საოლქო ქალაქების კომიტეტებში 3 წარმომადგენელი სამაზრო კომიტეტისა უნდა შედიოდეს.

§ 12. იმ ქალაქებში, სადაც საქალაქო თვითმართველობა დემოკრატიულ საფუძვლებზე უკვე შემოღებულია, აღმასრულებელი კომიტეტები უნდა გაუქმდეს.

(დასასრული ხვალ)

## წერილი რედაქციის მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ ეს მცირე წერილი მომითავსოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

ქ. ფოთის სადგურზე მომხდარ ინციდენტის გამო ქონ. მაქსიმოვასთან, რომელმაც ისე შეურაცხჰყო ჩემი პიროვნება, ვთხოვ ყველა იმ დროს (ე. ი. 10 წიფობისთვეს) იქ დამსწრეთ, ამ ამბის მაყურებელთ, მაცნობონ თავიანთი მისამართი.

ჩემი მისამართი: ქ. ქუთაისი. კლასიკური გიმნაზია, მე—8 კლ. მოწაფეს შურღაიას.

პატივისც. **შურღაია.**

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. „ |
| | დილის — | 9 ს. 10 „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 „ |


## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.